საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 46 დამატების № 9

კვირა, 28 თებერვალი, 1916 წ.

დათვის მსხვერპლი.

ძველი ტყე

ქარიშხალია! წვიმს, ელავს, გრგვინავს
და გარს ყველაფერს მუსრავს გრიგალი!
მეფობს წყვდიადი; ხარობს სიკვდილი,
რომ ჩინებული ხვდა მოსავალი!

მაგრამ ჰკვდებიან მხოლოდ ფოთოლნი,
უწყალოდ რომ გლეჯს და აბნევს ქარი,
თეით ძველი ტყე კი კვლავ ცოცხალია
და დგას კვლავ მტკიცედ, შეუპოვარი!

მის ათას წლობით არსებობის დროს
მის თავს ბევრ გრიგალს გადაუვლია,
მაგრამ—არა თუ ვერ შეუმუსრავს,
ოდნავ ფერიც-კი ვერ შეუცვლია!

და საქართველოც ხომ ძველი ტყეა
და ფოთოლნი-კი, ძირს რომ სცვივიან,
მისი შვილები, მის სადიდებლად
დღეს რომ გმირულად იხოცებიან!

ცოცხლობს ძველი ტყე და კვლავ იცოცხლებს;
არის, იქნება საქართველოცა,—
ვით წარსულ შავ დროთ ვერ დაუკლიათ,
ვერას დააკლებს ეს მწარე დროცა!

1915 წ. **დუტუ მეგრელი.**

ტ ყ ე ე ბ ი

მეოცნებეს გზა არეულს ტყეში შენხვდა ტყის ქალწული,
მოცქრიალე, მოცეკვავე, თვალად ტურფა, ტანად სრული,
დამატყვევა გამიტაცა თავისავე მოხიბლული...

———

ტბა-ველები დამატარა, ბნელ ხევებით შემაჯერა,
მთის მწვერვალებს ამაცილა უფსკრულის წინ შემაჩერა,
შავ მღვიმეში ნისლი იწვა ფიქრის მკვლელი, კუპრის ფერა...

———

აქ გამიქრა ჯადო-ქალი... დავრჩი ობლად გულდამწვარი,
უფსკრულიდგან მომეპკურა ნელის კრთომით გრილი ცვარი,
გარდავიქმენ... ქვესკნელიდგან შემომესმა ცისკრის ზარი...

———

მაგრამ უცბად მომებურა მოელვარე ღრუბელთ ჯარი,
ელვის ზოლით დაიკემსა მოშრიალე ნიავ-ქარი,
ცვეცხლის ფრთებით ამოიჭრა უფსკრულიდგან ჯადოქარი...

———

ღრუბლის ქულით გადმომკივლა ვნებით მთვრალსა ფერმილეულს,
ზარი დამცა სასიკვდილო რაინდობით თავხედს, ძლეულს.
ახარხარდა. სტიქიონმაც ბანი მისცა ეშმაკეულს...

———

ცოცხალ-მკვდარი ქვე დავეშვი ნაცნობ ტყისკენ გადმოვფრინდი.
ტყის ულრან გულს მივაშურე თან წამომყვა ღამის ბინდი,
თეთრ ვერხვის გულს მივესვენე და გულმწარედ ავქვითინდი!..

კიკნა-ფშაველა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ე რ ი შ ი.

***

მეფურ მყინვარზე მეფურად მდგარი,
აწმყო-წარსულის სასტიკი მტერი,
ვიწვევ რაინდებს და გულ-მედგარი
ქვეყნის გარდაქმნის სიმღერას ვმღერი!

აიშალენით რჩეულნო გმირნო.
დაიგანგაშეთ, დაჰკარით ბუკი,
რომ ჩვენს ძახილზე, ჩვენს ყიჟინაზე,
აღზდგეს, შემოკრბეს ყველა ჭაბუკი!

ია ქართველიშვილი.

ანაქრეონის ოდეგი

სიზმარი.

ბახუსისა ტკბილ ნექტარმა როს მომგვარა თვალზე რული,
სიზმრად ტრფობის ხეივანში მოვყე ნელ-ნელ სიარული.
კორდის ძირას ქალწულთ კრებას თმა გაშლილს და მოკისკისეს
ისე ვსდევდი ვით ნიავი ვარდთა ფურცლის წითელ კიბეს.
ყრმანი შორით მომზირალნი დასცინოდნენ ჩემს ტკბილ ფუნდრუკს,
რომ მოხუცი დავაკმევდი ჭაბუკთ ვნების სუნნელ გუნდრუკს.
მაგრამ რაო, დე იცინონ, მიყვარს ვნება, მისი ალი;
სიცოცხლეს ვგრძნობ მით დამოვრალი დიონისოს ნატერფალი!
და... მეც ვსდევდი ქალწულთ კრებას, ვსდევდი ლანდად, ვით ჩვენება,
არ მესმოდა მათი კილვა, არც თუ მათი შეჩვენება.
აგერ, დავწვდი ერთს გიჟმაჟსა, აღტაცებულს, ცისკრის დარსა,
მსურდა, თრობა განმეცადა მისი ეშხით ცოცხალ-მკვდარსა.
მაგრამ ოდნავ რა შევეხე, გასხლტა, არც კი გამიკარა,
და ხითხითით შემომძახა: „ანაქრეონ, კმარა, კმარა!“
გამეღვიძა. გულ მოკლულსა მომეხვია სევდის ბადე,
მსურდა სიზმარს მეც გავექრე, ქვეყნად ბედს არ დავებადე.

Candide

მწყემსი დედოფალი

ოსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი*)

— რა გინდა, რა გაღრიალებსო?

გულმოსულმა მეფემ დალაქი დატუქსა და უთხრა:

— როგორ მიბედავ შეუპოვრად მელაპარაკები? მითხარი, სად არიან ჩემი კაცებიო.

დალაქი გაშტერებული უყურებდა. მეფე აღშფოთებული, რომ ნახა ვერ იცხო.

ახლა მეაბანოესთან მივიდა მეფე და ჰკითხა:

— სად არიან ჩემი მხლებლები? რა გაშტერებულხართ, ველარ მცნობთ თქვენს მეფეს?

მეაბანოემ და იქ მყოფთ, რომ ეს სიტყვები გაიგონეს, შეშლილად ჩათვალეს და უთხრეს:

— რას გადარეულხარ ოხერო! მეფე იყო აქ და კიდეც წავიდა, შენ მენაგვე ხარ, აი მანდა ყრია შენი დაგლეჯილი ტანისამოსი, ჩაიცვი და საჩქაროდ დაიკარგე აქედანაო. ის არ გაინძრა. მივარდნენ, მენაგვის ტანისამოსი ჩააცვეს, ნაგვის გოდორიც აჰკიდეს და სიცილ-ხარხარით და კინწის კვრით კარში გააგდეს.

საბრალო მეფემ არ იცოდა, რა ექმნა სად წასულიყო? ქუჩაში აქა იქ ეძახდნენ და უბრძანებდნენ, რომ ნაგავი გადაეყარა. ფუფუნებაში აღზდილი მეფე იძულებული შეიქმნა ახლა ეზიდნა გოდრით ნაგავი, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. რამდენჯერ სთქა: „მეფე ვარო“, მაგრამ მასხარად აიგდეს, კისერში უთაქეს და ერთხელ კინაღამ საგიჟეშიაც ჩასვეს. აბის შემდეგ, შეშინებული მეფე ხმას აღარ იღებდა, თავჩაღუნული დაიარებოდა და მუშაობდა. სამი დღის შემდეგ ანგელოზ-მეფემ ბრძანება გასცა მიეყვანათ მასთან ეს მენაგვე. როცა მიიყვანეს, მენაგვეს ჰკითხა:

— შენ ვინა ხარო?

— ბატონო! მეფე ვიყავ და ეს ტახტიც ჩემი იყო, მაგრამ ფარულად აბანოში შესვლამ, ასე მენაგვედ ყადამაქციაო,—შესჩივლა მეფემ.

— ამ ახლო ხანებში ღვთისათვის ხომ არა შეგიცოდებია რა?—ჰკითხა ანგელოზმა.

— არაო! მიუგო მენაგვემ.

ანგელოზმა მოაგონა ის დრო, როდესაც უბრძანა მასწავლებელს ამოეშალა ფსალმუნში სიტყვები. მაშინ მეფემ თავისი თავი ღვთის წინაშე დამნაშავედ აღიარა და პატიება სთხოვა.

— რადგან შეინანიე, ნულარ გეშინია, ღმერთი გაპატიებს და სამეფო ტახტს ისევ დაგიბრუნებსო,—უთხრა ანგელოზმა. მერე გაიხადა სამეფო ტანისამოსი და მისცა მენაგვეს; თითონკი იმის ტანისამოსი ჩაიცვა, გოდორიც ზურგზე მოიკიდა და უჩინო შეიქმნა. მეფეს დაუბრუნდა ღირსება და კვლავ ტახტზე დაჯდა.

მეჩიტეს მოეწონა ეს მოთხრობა მისცა იადონი საწყალ კაცს, აბაზი გამოართვა და წავიდა.

ამ საწყალმა კაცმა ჩიტი შინ მიიყვანა, შესვა გალიაში, საკენკი დაუყარა, რადგან მეტი ფული არა ჰქონდა, იმ ღამეს სამნივე მშიერნი დაწვნენ. ღარიბი კაცი დილით ადრე ადგა, მივიდა გალიასთან და ნახა, ჩიტს თხილის ოდენა რაღაც დაედო. აიღო ხელში, გაშინჯა, მაგრამ ვერ. გაიგო, რა იყო. წავიდა ბაზარში, ერთ ებრაელს უჩვენა და ჰკითხა:

— ეს რა არის? ან ღირს რამეო?

ებრაელი მიხვდა, რომ ალმასის ქვა იყო, ხოლო გაუთლელი.

— ეს რომ გათლილი ყოფილიყო, —უთხრა მან, ძვირად ეღირებოდა ესრე შეუმუშავებელი-კი ახლა ხუთ თუმნად ღირს. თუ მომყიდი ამდენს მოგცემო.

ხუთი თუმანი საწყლისათვის დიდი ფული იყო, ამიტომ, რა ხუთი თუმნის ხმა გაიგონა—სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. მერე დაღონდა, ეგონა ებრაელი მასხარად იგდებდა. გაბედა და საცდელად უთხრა:

— მოიტა, მომეცი ხუთი თუმანი, მოგყიდიო.

ებრაელმა მართლა მისცა ხუთი თუმანი და ქვა გამოართვა, საწყალი კაცი ფეხმარდად შინისაკენ გაეშურა და თან უკან იხედებოდა, ეგონა თუ ებრაელი გამოეკიდებოდა და ფულს

*) იხ. „საქ.“ დამატება № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტილერია.

დავით პეტ. სეხნიაშვილი
დაჭრილია კეპრიკეს აღების დროს. მიიღო ჯილდოთ ანა 3 ხარისხის 4-ის, სტანისლავა და წარდგენილია პარუჩიკობაზედ.

დააბრუნებინებდა. ამ ფულით იმან იყიდა, რაც ოჯახისათვის უსაჭიროესი რამ იყო. ღარიბმა კაცმა იადონი უფრო მეტად შეიყვარა, ისე რომ თავის თავს ერჩივნა, მეორე დღეს მივიდა ჩიტის სანახავად, ნახა, რომ გუშინდელ ქვის მსგავსი კიდევ დაედო.

აიღო ისიც, დიდის სიხარულით მიუტანა ებრაელს და კიდევ ხუთ თუმნად მიჰყიდა. რამდენსამე წლის განმავლობაში ეს საწყალი კაცი ისე გამდიდრდა, რომ ყველას თითით საჩვენებელი გახდა, იმის წყალობით, ებრაელიც ერთი ასად გამდიდრდა და ორნივე უგულითადესი მეგობრები გახდნენ.

ერთხელ ამ გამდიდრებულ კაცს სხვაგან წასვლა დასჭირდა სავაჭროდ, ჩიტი ჩააბარა ცოლსა და შვილს და დააბარა იმათ, კარგათ მოუარეთო. ებრაელსაც სთხოვა ყოველდღე მისულიყო იმისას, აეღო ქვა და ფული გარდაეცა მის ცოლისათვის. დაიმედებული ვაჭარი შეჯდა ცხენზე და სხვა ქალაქში წავიდა, ქარვის საყიდლად და გასასყიდად.

ვაჭრის ცოლი ღარიბობისას სვინდისიანი ადამიანი იყო, სიმდიდრეს-კი გონება დაეხშო და ბოროტ გზაზე დაეყენებინა. ებრაელი ყოველ დღე თავის ახალგაზრდა და თვალ-ტანად მოხდენილ შვილსა გზავნიდა ხოლმე ალმასის ქვის წასაღებად, მისი სიყვარული ჩაუვარდა გულში ვაჭრის ცოლს ღა აღარ იცოდა რა ექმნა. ყოველ მისვლაზე, დედაკაცი წინ მიეგებებოდა ხოლმე, მიიწვევდა, კარგად უმასპინძლდებოდა. განვლო რამოდენმა თვემ, ქალმა უფრო მეტად შეიყვარა ვაჟი, მაგრამ ვერ გამოეცხადებინა სიყვარული.

ერთხელ, როცა ვაჟი ჩვეულებრივ მივიდა ვაჭრის ცოლთან ქვის წასაღებად, ქალმა გაუზიარა თავისი ფიქრი, მაგრამ ებრაელმა უარი განუცხადა. ქალმა დაუწყო ხვეწნა, მიზეზი უარისა მითხარიო.

რა დაატყო კარგი შემთხვევა იყო, უთხრა:

— ჯერ ის მითხარ, საიდან შოულობთ ამ ქვებსა და მერე ავასრულებ შენს თხოვნასაო.

ისე გატაცებული იყო ქალი სიყვარულით, რომ არ დამალა და პირდაპირ უთხრა:

— ერთი ფრინველი გვყავს, ის სდებს ყოველ დღე ამ ქვასაო.

— მაშ თუ მართლა გიყვარვარ, ჩიტი დაჰკალ, მოხარშე და იმისი გული მაჭამე. მერე ავასრულებ შენს თხოვნასაო,—უთხრა ებრაელმა.

დედაკაცმა მაშინათვე უბრძანა მზარეულს დაეკლა იადონი, მოეხარშა და მისთვის მიეტანა.

მზარეულმა ქალბატონის ბრძანება შეასრულა. დაკლა ჩიტი, მოხარშა, დასდო ფეჩზე და გულ-ღვიძლიც გვერდზე მოუწყო. დააპირა თუ არა ზევით წაღება, ამ დროს ვაჭრის შვილი შევიდა სამზარეულოში და რადგან მშიერი იყო, მზარეულს სთხოვა ეჭმია რამე.

იმანაც ჩიტის გულ-ღვიძლი მიაწოდა და უთხრა:

— ჯერ ეს შეჭამე და როცა უკან დავბრუნდები, სხვა რასმე მოგიმზადებო.

როცა ებრაელს ჩიტი მიართვეს მოემზადა საჭმელად, მაგრამ შეამჩნია, რომ შიგ გული არ იყო და იკითხა:

— სად არის ამისი გული?

ებრაელმა რომ გაიგო მზარეულისაგან, გული ვაჭრის შვილს უჭამიაო, უფრო გაჯიუტდა და დაჟინებით ამბობდა: „ძარტო გული მინდოდა ჩიტისაო“.

— აბა, რა ვქნა, თუ კი ჩემს შვილს შეუჭამია რაღა გაეწყობა, სხვა რაც გინდა მთხოვე, აგისრულოვო, ეუბნებოდა დიასახლისი, მაგრამ იგი ყურს არ უგდებდა იმის დაპირებას და გაიძახოდა:

— გულის გარდა სხვა არა მინდა რა! თუ მართლა გიყვარვარ, დააკვლევინე შენი შვილი და მუცლიდან ამოაცალე, თუ არა და მშვიდობითო.

თუმცა დედას ეძნელებოდა შვილის დაკვლა, მაგრამ საყვარლის სიყვარულმა სძლია შვილის სიყვარულსა და მით დაუბნელა გონება, დაიბარა მზარეული და უბრძანა:

— წაიყვა ჩემი შვილი, სადმე მივარდნილ ადგილას დაჰკალ, ჩიტის გული ამოუღე მუცლიდან და მომიტანე. თუ ჩემ ბრძანებას, ასრულებ, უხვად დაგაჯილდოვებ, თუ არა, გაგაგდებო.

— ბატონი ბრძანდებიო,—უთხრა მზარეულმა. საჩქაროდ ძირს ჩავიდა, რაცა ჰქონდა, მოაგროვა ყრმაც წაიყვანა და წავიდა. მივიდნენ ერთ მთის ძირს. ვაჟი იქნებოდა მაშინ 15 წლისა, მზარეულმა ვაჟი გვერდით მოისვა და მწუხარებით უთხრა:



42 სანტიმეტრიანი ზარბაზნები.

— აი, შვილო! მამიშენის პურ-მარილი ბევრი მიჭამია, მრავალი სიკეთეც მინახავს, ღმერთმა ნუ დამავიწყოს იმისი პურ-მარილი და ამაგი. ყური დამიგდე, გითხრა მიზეზი ჩვენი აქ მოსვლისა. დედა შენმა ებრაელის ეაჟი შეიყვარა. სიყვარულმა ისე დაუბნელა თვალი და გონება, რომ იმ ებრაელის თხოვნით, ჯერ თქვენი გამამდიდრებელი ძვირფასი იადონი დამაკვლევინა, ახლა შენი მოკვლა მიბრძანა, რომ მუცლიდან ამოგიღო იმ ჩიტის გული ტ მივუტანო დედა შენს. აი ამისთვის მოგიყვანე შენ აქ. შაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, შენ მოგკლა, მხოლოდ იძულებული ვარ უნდა მივატოვო მამი შენის სახლი და მე ჩემს ქეეყანაში წავიდე, შენ კი შენს თავს უშველე, არამც და არამც შინ არ დაბრუნდე, თორემ, იცოდე დედა შენი უეჭველად სხვას მოაკვლევინებს შენს თავსაო. როცა ვაჟმა ეს სიტყვები მოისმინა, ძლიერ დაღონდა და აღარ იცოდა რა ექნა, ან საით წასულიყო, იმედ გადაწყვეტილმა დაიწყო ტყეში უგზო-უკვლოდ სიარული.

აქ, მწყემსს ქალს მოაგონდა თავისი თავ-გადასავალი და ჩუმად ტირილი დაიწყო. ხელმწიფესაც მოაგონდა თავისი დედოფალი, გაქცეული ტყეში და ორი შვილი, მოკლულნი უდანაშაულოდ, ფარისეველმაც ამ დროს გაიფიქრა, რომ ისიც ისევე მოიქცა, როგორც ებრაელი, და ემიზეზოდ მოაკვლევინა თექნამის ქალი; თექნამიც იმიტომ ტიროდა, რომ იმანაც, როგორც ვაჭრის ცოლმა, უბრძანა თავის მოსამსახურეს, შორს სადმე წაეყვანა მისი ქალი და მოეკლა.

— რამდენსამე თვის შემდეგო,— განაგრძო ვეზირმა თავის მოთხრობა,—მგზავრობიდან დაბრუნდა ვაჭარი და შემთხვევით შეხვდა თავის შვილს. გაოცებული მამა გადაეხვია შვილს, დაჰკოცნა და ჰკითხა:

— ჩემო საყვარელო შვილო? აქ რა გინდა? ვინ მოგიყვანა აქა?

შვილმა შესტირა მამას და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ვაჭარმა, თავის ცოლის ოინები და ღალატი, რომ გაიგო, გაფითრდა და იქვე გადაწყვიტა მისი ბედი. დაბრუნდა თუ არა, მაშინვე სახლიდან გააგდო ცოლი, რომელსაც შიმშილისაგან სადღაც სული ამოუვიდა. მამა და შვილი იმის შემდეგ ტკბილად ცხოვრობდნენ ერთად.

როცა ვეზირმა დაასრულა მოთხრობა, უკვე შუაღამე გადასული იყო. ჯერი მიდგა ხელმწიფეზე მაგრამ რადგან ძილის დრო იყო, არაკის თქმა გადაიდო სახვალიოდ.

მეორე ღამეს, ვახშმის შემდეგ, ხელმწიფემ დაიწყო თავისი ზღაპარი.

ერთხელ ორ ვაჭარს ჩხუბი მოუვიდათ, მივიდა იმათთან სხვა კაცი და უთხრა:

— ეგ სულ ეშმაკის ბრალია. დაჰგმეთ ის წყეული, შეაფურთხეთ და მორიგდებითო.

ალ. იაკ. ახალციხელი.

(შემდეგი იქნება)

იოსებ გედევანიშვილი

სამოქმედო ასპარეზი ახალ კლუბში დიდია,
წამო, ძმებო, მივაშუროთ. იქ ზუთხები ჰკიდია;
სტრატეგიულ მოსაზრებით საიმედო ხიდია,
საქალაქო არჩევნები რაღა მოსარიდია?!

მთლად პარტია ესფერების ახალ კლუბში შეიყარა,
ერთის კაცის წინააღმდეგ დაჰკრეს ბუკი და ნაღარა;
მუხლი უგდო ჭავჭავაძემ პანტა-პუნტით გადაჰყარა,
ამ პარტიის ძლიერებას მიშამ მიწა მიაყარა!
„სიტვვა“ წარსდგა ხატისოვთან და ცრემლები ჩამოჰყარა;
ხატისოვმა ანუგეშა და ამბავი ეს ახარა:
მოდით, ჩვენკენ მოაშურეთ, მანდ ჭიდილი აწ კი კმარა!

კარიკატურა ვალ. ს. ერისთავისა.

მეგოლგრული შარჟი



მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**